

შიდა მობილობა

ბსუ-ს სტუდენტი უფლებამოსილია ბსუ-ში ერთი საგანმანათლებლო ერთეულიდან (ფაკულტეტიდან)/პროგრამიდან გადავიდეს სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე (ფაკულტეტზე)/პროგრამაზე (შიდა მობილობა). აღნიშნული უფლებით ბსუ-ს სტუდენტმა შესაძლებელი ისარგებლოს ბსუ-ში სწავლების პირველი სემესტრის შემდეგ, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ შიდა მობილობის პერიოდში. შიდა მობილობაში მონაწილეობის უფლება აქვს ასევე ბსუ-ს სტუდენტის სტატუსის შეჩერებულ პირებს. **(დანართი 9, ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის 01-08/38 ბრძანება)**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N 01-08/38

ქ. ბათუმი

21 ივლისი, 2016

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის გარე და შიდა მობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესი“-ს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს პირველი და მეორე საფეხურის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების წესი“-ს მე-5 მუხლის, „2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის მობილობის/შიდა მობილობის კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 11 ივლისის №51 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობის (შიდა მობილობის) განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2016 წლის 21 ივლისის N01-08/37 ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისათვის განისაზღვროს გარე და შიდა მობილობის ვადები:

1.1. სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის (გარე მობილობის) მსურველთათვის:

ა) დოკუმენტაციის მიღება - 2016 წლის 24, 25, 26 აგვისტოს ჩათვლით;

ბ) კრედიტების აღიარება - 2016 წლის 1 სექტემბერი.

გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე მსურველთა თანხმობის განცხადებების მიღება - 2016 წლის 1, 2, 5 სექტემბრის ჩათვლით;

დ) ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2016 წლის 9 სექტემბერი.

1.2. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის (შიდა მობილობის) და სტატუსშეჩერებული / სტატუსშეწყვეტილი პირის სტატუსის აღდგენის (შემდგომში - აღდგენა) მსურველთათვის:

- ა) დოკუმენტაციის მიღება - 2016 წლის 29, 30, 31 აგვისტოს ჩათვლით;
- ბ) კრედიტების აღიარება - 2016 წლის 6 სექტემბერი;
- გ) კრედიტების აღიარების დასკვნაზე თანხმობის განცხადებების მიღება - 2016 წლის 6, 7, 8 სექტემბრის ჩათვლით;
- დ) ჩარიცხვის ბრძანების მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა - 2016 წლის 12 სექტემბერი.

2. დაევალოს ბსუ-ს სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების მართვის დეპარტამენტს მობილობის პროცესის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით წარმართვა და კოორდინირება.

3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ფაკულტეტებისა და კანცელარიასთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებ-გვერდზე განთავსება.

5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი

 მერაბ ხალვაში